თსუ იურიდიული ფაკულტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამაზე მისაღები გამოცდის თემატიკა და სასწავლო ლიტერატურა საჯარო სამართლის მიმართულებით

კონსტიტუციური სამართალი

1. სახელმწიფო მოწყობის კონსტიტუციური საფუძვლები საქართველოში;

2. სახალხო ხელისუფლების განხორციელების კონსტიტუციური ფორმები საქართველოში;

3. საქართველოს სახელმწიფო მმართველობის ფორმა;

4. საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობა;

5. სახელმწიფო ხელისუფლების მექანიზმის კონსტიტუციური საფუძვლები საქართველოში;

6. საარჩევნო სამართალი და საარჩევნო სისტემები საქართველოში;

7. საქართველოს სახელმწიფოს მეთაური;

8. საქართველოს პარლამენტი;

9. საქართველოს მთავრობა;

10. საერთო სასამართლოების სისტემა საქართველოში;

11. საკონსტიტუციური კონტროლი საქართველოში;

12. ფინანსები და კონტროლი საქართველოში;

13. ადგილობრივი თვითმმართველობის სტატუსი საქართველოში;

14. სახელმწიფო და პიროვნება;

15. მოქალაქეობის ინსტიტუტი საქართველოში;

16. უცხოელთა სტატუსი საქართველოში;

17. ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები;

18. ადამიანთა უფლებების დაცვა.

ადმინისტრაციული სამართალი

I. <u>საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი:</u>

1. საჯარო მმართველობა და ადმინისტრაციული სამართალი.

2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის პრინციპები.

3. ადმინისტრაციული ორგანოს ცნება.

4. ადმინისტრაციული ორგანოების ურთიერთდახმარების ვალდებულება (სამართლებრივი დახმარება), პირობა და ფარგლები. უარის თქმა სამართლებრივი დახმარების აღმოჩენაზე.

5. კოდექსის მოქმედების სფერო

6. ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის სამართლებრივი ფორმები.

7. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი (სზაკ, IV თავი)

8. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ცნება, სახეები.

9. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ოფიციალური გაცნობა, სახეები

10. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერება და უკანონობა. ფორმალური და მატერიალური კანონიერება.

11. უკანონო და არარა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები.

12. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა. აღმჭურველი და ამკრძალავი (მავალებელი) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა. ბათილად ცნობილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეწყვეტის სამართლებრივი შედეგები.

13. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება. აღმჭურველი და ამკრძალავი (მავალებელი) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება.

14. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად და ძალადაკარგულად გამოცხადების ბუნება და ერთმანეთისაგან გამიჯვნა.

15. მხარის კანონიერი ნდობა და კომპენსაცია

16. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი

17. ადმინისტრაციული ორგანოს რეალური მოქმედება (რეალაქტი).

18. ადმინისტრაციული ხელშეკრულება, ცნება, საგანი, მიზანი, სუბიეტები, წარმოების თავისებურებანი, ადმინისტრაციული ხელშეკრულების ფორმალური და მატერიალური კანონიერება, ადმინისტრაციული ხელშკრულების გამიჯვნა სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულებისაგან, ადმინისტრაციული ხელშეკრულება და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, მესამე პირების უფლებები ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას. ადმინისტრაციული ხელშეკრულების ბათილობა.

19. მარტივი ადმინისტრაციული წარმოება, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველი, წარმოების ენა, ადმინისტრაციული წარმოების მონაწილენი/სუბიექტები და მათი უფლებები, სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში, აცილება და თვითაცილება ადმინისტრაციულ წარმოებაში, წარმომადგენელი ადმინისტრაციულ წარმოებაში, დაინტერესებული მხარის მონაწილება ადმინისტრაციულ წარმოებაში, ადმინისტრაციული წარმოების ვადა. საქმის გარემოებათა და მტკიცებულებათა გამორკვევა ადმინისტრაციულ წარმოებაში, ადმინისტრაციული წარმოების მასალების გაცნობის უფლება, გადაწყვეტილების მიღება.

20. ფორმალური ადმინისტრაციული წარმოება. თავისებურებანი, დაინტერესებული მხარის მონაწილეობა, ზეპირი მოსმენა, მისი ჩატარების წესი, გადაწყვეტილების მიღების წესი, მოწმე და ექსპერტი.

21. საჯარო ადმინისტრაციული წარმოება, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თავისებურება. საჯარო გაცნობისათვის დოკუმენტების წარდგენა, საკუთარი მოსაზრების წარდგენის წესი, აქტის პროექტის მომზადება და საჯარო გაცნობისათვის წარდგენა, ზეპირი მოსმენა და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

22. ადმინისტრაციული წარმოება კოლეგიურ ადმინისტრაციულ ორგანოში, წარმოების წესი, სხდომის მიმდინარეობის წესი, კვორუმი, სხდომის ოქმი, ადმინისტრაციული წარმოების წესი კოლეგიურ ადმინისტრაციულ ორგანოში ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მისაღებად, პროექტის გამოქვეყნება, დასკვნის და საკუთარი მოსაზრების წარმოდგენა, ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებისა და მიღების ვადა.

23. დამოუკიდებელი ორგანოს მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის წესი. სავალდებულოობა, დანიშვნის წესი, ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის დაუშვებლობა.

24. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულება. ცნება, არსი და ზოგადი საფუძველი, საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის ვალდებულება, აღსრულებაზე უფლებამოსილი ორგანო, აღსრულების წესი, გადაწყვეტილება აქტის აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ, ფულადი მოთხოვნების აღსრულება, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულების უზრუნველყოფის საშუალება, სხვა პირისათვის ამიდმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულების დავალება, ჯარიმა, უშუალო იძულება.

25. ადმინისტრაციული წარმოება ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით. ადმინისტრაციული საჩივრის არსი, ცნება, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება, ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად წარდგენის ვალდებულება, ადმინისტრაციული საჩივრის განმხილველი და გადამწყვეტი ორგანო, ადმინისტრაციული საჩივრის ფორმა და დასაშვებობა, ადმინისტრაციული საჩივრის მიღებაზე და განხილვაზე უარის თქმა, ადმინისტრაციული საჩივრის შეტანისა და განხილვის ვადები, გასაჩივრების სუსპენზიური ეფექტი (გასაჩივრებული აქტის მოქმედების შეჩერება), ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული წარმოების მოცულობა, ადმინისტრაციული საჩივრის დასაბუთება, საფუძვლიანობა, დაინტერესებული მხარის უფლებები, ზეპირი მოსმენის ჩატარების პირობები, გადაწყვეტილება ადმინისტრაციული საჩივრის განხილვასთან

დაკავშირებით, გადაწყვეტილების მიღება კანონიერებისა და მიზანშეწონილობის საფუძვლით. ადმინისტრაციული საჩივრის განმხილველი ორგანოს/პირის უფლებამოსილება გააუქმოს, შეცვალოს გასაჩივრებული აქტი ან გამოსცეს ახალი.

26. ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა, ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, მოთხოვნის უფლება სახელმწიფოს მხრიდან ზიანის ანაზღაურებაზე, ზიანის წარმოშობის საფუძველი, ზიანის ობიქტი, ბრალი, როგორც ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობის ელემენტი, ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობის პირობები (ანუ, ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებლობის წარმოშობის პირობები), ზიანის ანაზღაურების სამოქალაქო სამართლებრივი საფუძველი (სამოქალაო კოდექსი, მუხ. 1005), სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს პასუხისმგებლობის განსაკუთრებული წესი, ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობის გამომრიცხველი გარემოებები, სახელმწიფოს პასუხიმგებლობა ბრალის გარეშე მიყენებული ზიანისათვის, სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს პასუხისმგებლობა კანონიერი საჯარო-სამართლებრივი ქმედებით გამოწვეული ზიანისათვის. პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მოთხოვნის უფლება.

27. ინფორმაციის თავისუფლება. ტერმინთა განმარტება, საჯარო დაწესებულება, საიდუმლო ინფორმაციის სახეები, გამოქვეყნების წესი. სხდომათა საჯაროობა, კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომა. საჯარო რეესტრი, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, საჯარო ინფორმაციის ასლის ხელმისაწვდომობა, საჯარო დაწესებულებისათვის პერსონალური მონაცემებისა და კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, აღმასრულებელი პრივილეგია, პროფესიული საიდუმლოება, გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოების შესახებ, გასაიდუმლოების ვადა, საჯარო ინფორმაციის გაცემა, გაცემაზე უარის თქმა და გადაწყვეტილება, ინფორმაცია რომლის გასაიდუმლოება დაუშვებელია, პერსონალური მონაცემების საიდუმლოება, გადაწყვეტილების გაუქმება ან შეცვლა, ზიანის ანაზღაურება, სასამართლოს მიერ გასაიდუმლოებული ინფორმაციის გამოთხოვა, ანგარიშის წარდგენა და გამოქვეყნება, ადრე არსებული საჯარო ინფორმაციის ღიაობა, საქმისწარმოების მართვის ერთიანი ავტომატური საშუალებები, პროაქტიული გამოქვეყნება.

28. საქართველოს კანონი “პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ”.

II. <u>საქართველოს ადმინისტრაციული პროცესი:</u>

29. ადმინისტრაციული მართლმსაჯულება, როგორც სასამართლო კონტროლის განხორციელების ეფექტური საშუალება

30. ადმინისტრაციული პროცესის პრინციპები;

31. ადმინისტრაციული დავის საგანი. ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეთა უწყებრივი ქვემდებარეობა და განსჯადობა. დავა განსჯადობაზე.

32. საპროცესო ვადები. სასამართლო შეტყობინება და დაბარება. სასამართლო მტკიცებულებები. პროცესის ხარჯები;

33. მხარეები ადმინისტრაციულ პროცესში, მხარეთა საპროცესო უფლებები და მოვალეობები. ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენელი ადმინისტრაციულ პროცესში. მესამე პირები ადმინისტაციულ პროცესში, მათი პროცესში ჩაბმის თავისებურება.

34. სარჩელის ტრანსფორმაცია. გამარტივებული და დაჩქარებული ადმინისტრციული სამართალწარმოება და მათი მიზანი.

35. სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისა და ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე. მისი აღძვრის წინაპირობები. დასაშვებობა და დასაბუთებულობა. სასამართლოს გადაწყვეტილება ამ სახის სარჩელთან დაკავშირებით. კავშირი სარჩელთა სხვა სახეებთან. შეგებებული სარჩელის დაუშვებლობა. ადმნისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად და ძალადაკარგულად გამოცხადების მატერიალურსამართლებრივი საფუძვლები.

36. გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერება (სუსპენზიური ეფექტი), მისი არსი და თავისებურებანი;

37. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერება, თავისებურებანი. განჩინების გასჩივრების წესი.

38. პრევენციული დაცვის საშუალებების გამოყენება ადმინისტრაციულ პროცესში, მიჯნა სამოქალაქო საპროცესო სამართლით გათვალისწინებულ სარჩელის უზრუნველყოფის საშუალებებთან; დაცვის ამ საშუალებებთან მიმართებით სასამართლოს განჩინების გასაჩივრების წესი.

39. სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე, სარჩელის თავისებურება. სარჩელის წარდგენის ვადა, სარჩელის დასაშვებობა, დასაბუთებულობა. სასამართლოს გადაწყვეტილება. გადაწყვეტილების დასაბუთებულობა. თავისებურებანი. კავშირი სარჩელთა სხვა სახეებთან.

40. დროებითი განჩინება და სადავო სამართლებრივი ურთიერთობა.

41. სარჩელი ქმედების განხორციელების თაობაზე, სარჩელის თავისებურება, ადმინისტრაციულ ორგანოთა რეალური მოქმედებები (რეალაქტი). სარჩელის აღძვრის წინაპირობები, დასაშვებობა და დასაბუთებულობა. სასამართლოს გადაწყვეტილება ამ სახის სარჩელთან დაკავშირებით;

42. აღიარებითი სარჩელი ადმინისტრაციულ პროცესში, მისი თავისებურებანი. სარჩელის დავის საგანი. არარა აქტი, როგორც აღიარებითი სარჩელის დავის საგანი. სარჩელის დასაშვებობა და დასაბუთება. ფარგლები ადმინისტრაციულ და სამოქალაქო აღიარებით სარჩელთა სახეებს შორის. აღიარებითი სარჩელთა სახეების თავისებურებანი ადმინისტრაციულ პროცესში. სასამართლოს გადაწყვეტილება.

43. განმწესრიგებელი სხდომის არსი, თავისებურება.

44. სახელშეკრულებო დავები. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული კერძო სამართლებრივი ხელშეკრულება და მისგან გამომდინარე დავის განხილვის თავისებურება.

45. სააპელაციო და საკასაციო საჩივრის დასაშვებობა ადმინისტრაციულ პროცესში.

46. საიდუმლო ინფორმაციის განხილვის წესი. საქმის განხილვა დახურულ სასამართლო სხდომაზე. საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანის თავისებურება.

47. ადმინისტრაციული სამართალწარმოება მეწარმის საქმიანობის შემოწმებასთან დაკავშირებით. მაკონტროლებელი ორგანოს შუამდგომლობა, მეწარმის საქმიანობის შემოწმების საკითხის გადაწყვეტა, ვადები, მოსამართლის ბრძანება, ბრძანების მოქმედების ვადა, საქმის განხილვაზე უფლებამოსილი სასამართლო ორგანო, მოსამართლის ბრძანების გასაჩივრების, განხილვისა და გადაწყვეტის წესი;

48. ადმინისტრაციული სამართალწარმოება ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარებასთან დაკავშირებით. დამცავი და შემაკავებელი ორდერი. სასამართლოსათვის მიმართვის უფლებამოსილება, შემაკავებელი ორდერის გამოცემის წესი. სასამართლოს უფლებამოსილება შემაკავებელი ორდერის დამტკიცებასთან დაკავშირებით, საკითხები რომლებსაც უნდა ითვალისწინებდეს დამცავი და შემაკავებელი ორდერი, ოჯახური ძალადობის თაობაზე სსამართლოს მიერ მიღებული აქტების გასაჩივრების წესი, საკანონმდებლო თავისებურებები.

49. ადმინისტრაციული სამართალწარმოება არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსებასთან დაკავშირებით. არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარება და სასამართლოს უფლებამოსილება. სასამართლოს მიერ საქმის განხილვის წესი. მოსამართლის ბრძანება/დადგენილება არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების/არ მოტავსების შესახებ. ბრძანების მოქმედების ვადა. არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების თაობაზე გამოცემული სასამართლო აქტების გასაჩივრების წესი;

50. ადმინისტრაციული სამართალწარმოება საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელის ყადაღადადებული ქონების რეალიზაციასთან დაკავშირებით; საგადასახადო ორგანო და გადასახადის გადამხდელის ქონების დაყადაღების უფლებამოსილება, დაყადაღებული ქონების რეალიზაციის საკითხის გადაწყვეტის წესი, მოსამართლის ბრძანება და მისი გასაჩივრების წესი;

51. ადმინისტრაციული სამართალწარმოება ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭებასთან ან თავშესაფრის მიცემასთან დაკავშირებით. სასამართლოსათვის მიმართვა ლტოლვილის სტატუსის მინიჭების თაობაზე, გასაჩივრების ვადა. საკითხის გადაწყვეტის წესი. განხილვის ვადა;

52. ადმინისტრაციული სამართალწარმოება პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებული პირისათვის და მისი პირველი რიგის მემკვიდრისათვის ფულადი კომპენსაციის გაცემასთან დაკავშირებით. პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებული პირი, ფულადი კომპენსაციის გაცემასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული სამართალწარმოების არსი, საჩივრის წარდგენის ვადა და განხილვის თავისებურებანი, სახელმწიფო ბაჟისაგან გათავისუფლება.

53. ადმინისტრაციული სამართალწარმოება ტერორიზმთან დაკავშირებული პირებისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუციით განსაზღვრული პირების ქონებაზე ყადაღის დადებასთან დაკავშირებით. მოსამართლის ბრძანება პირის ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე, კომისიის შუამდგომლობა, ქონებაზე ყადაღის დადების საკითხის გადაწყვეტის წესი, მოსამართლის ბრძანების ძალაში შესვლა და გასაჩივრება, კომისიის შუამდგომლობა ქონების ყადაღისაგან გათავისუფლების თაობაზე;

54. ადმინისტრაციული სამართალწარმოება არასრულწლოვანის სკოლა-პანსიონში გაგზავნასთან დაკავშირებულ საქმეებზე. სასამართლოსათვის მიმართვა. სარჩელის წარმოებაში მიღების საკითხის განხილვა. საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესი. არასრულწლოვანის უფლებები.

55. ადმინისტრაციული სამართალწარმოება უცხოელის საქართველოდან გაძევებასთან დაკავშირებით. მოსამართლის ბრძანება უცხოელის საქართველოდან გაძევების თაობაზე. უცხოელის საქართველოდან გაძევების საკითხის გადაწყვეტის წესი. უცხოელის საქართველოდან გაძევების გადავადების წესი. მოსამართლის ბრძანება საქართველოდან გაძევების მიზნით უცხოელის დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსების შესახებ. მოსამართლის ბრძანების გასაჩივრების წესი. უცხოელის საქართველოდან გაძევების შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი.

56. ადმინისტრაციული სამართალწარმოება საგადასახადო ორგანოს მიერ კომერციული ბანკისგან პირის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მოპოვების თაობაზე. მოსამართლის ბრძანება კომერციული ბანკის მიერ საგადასახადო ორგანოსათვის პირის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მიწოდების თაობაზე. საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობა. კომერციული ბანკის მიერ საგადასახადო ორგანოსათვის პირის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მიწოდების თაობაზე მოსამართლის ბრძანების გამოცემის წესი.

57. ადმინისტრაციული სამართალწარმოება საგადასახადო ორგანოს მიერ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნებისათვის კომერციული ბანკისგან პირის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მოპოვების თაობაზე. მოსამართლის ბრძანება კომერციული ბანკის მიერ საგადასახადო ორგანოსათვის საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე სხვა სახელმწიფოს კომპეტენტური (უფლებამოსილი) ორგანოს მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ინფორმაციის მიწოდების თაობაზე. საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობა. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნებისათვის კომერციული ბანკის მიერ საგადასახადო ორგანოსათვის პირის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მიწოდების თაობაზე მოსამართლის ბრძანების გამოცემის წესი.

<u>სასწავლო ლიტერატურა:</u> **სტუდენტებისათვის გზამკვლევის სახით შემოთავაზებულია სასწავლო სამართლებრივი ლიტერატურა/სახელმძღვანელოები და ნორმატიული აქტები. სტუდენტმა უნდა გაითვალისწინოს, რომ მას თანაბრად მოეთხოვება როგორც თეორიული მასალის/სასწავლო სამართლებრივი ლიტერატურის, ასევე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის ცოდნა:**

I. სასწავლო ლიტერატურა საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ სამართალში:

ა). ძირითადი სასწავლო ლიტერატურა საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ სამართალში:

1. ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, ავტორთა კოლექტივი: ზურაბ ადეიშვილი, ქეთევან ვარდიაშვილი, ლევან იზორია, ნინო კალანდაძე, მაია კოპალეიშვილი, ნუგზარ სხირტლაძე, პაატა ტურავა, დიმიტრი ქიტოშვილი. საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი, თბილისი, 2005 წელი. ამ სახელმძღვანელოს გამოცემის შემდეგ ზოგად ადმინისტრაციულ და ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსებში 2005 წლის 24 ივნისს შევიდა რიგი ცვლილებებისა, რის გამოც გამოიცა დასახელებული სახელმძღვანელოს მეორე გამოცემა (2005წ.). www.gtz-law-caucasus.net

2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი: ზურაბ ადეიშვილი, გერდ ვინტერი, დიმიტრი ქიტოშვილი. თბილისი, 2002 წელი; დასახელებული წიგნი დღეს თითქმის არ არის წიგნის მაღაზიების ქსელში, ამდენად, მისი ნახვა სტუდენტებს შეუძლიათ სხვადასხვა ბიბლიოთეკების, ორგანიზაციების (მაგ. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის) ბიბლიოთეკებში.

3.ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, პ.ტურავა, ნ.წკეპლაძე, მეორე გადამუშავებული გამოცემა, 2010წ.

4. საქართველოს მთავრობის დადგენილება №219, 2013 წლის 26 აგვისტო. "საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ".

ბ). დამხმარე სასწავლო ლიტერატურა საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ სამართალში:

4.ადმინისტრაციული წარმოება, პაატა ტურავა, ირმა ხარშილაძე, თბილისი, 2006 წელი.

5. ადმინისტრაციული გარიგება, მაია კოპალეიშვილი. თბილისი, 2003 წელი.

გ) ნორმატიული აქტი:

6. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, 1999 წლის 25 ივნისი.

II. სასწავლო ლიტერატურა საქართველოს ადმინისტრაციული სამართლის პროცესში:

ა). ძირითადი სასწავლო ლიტერატურა საქართველოს ადმინისტრაციული სამართლის პროცესში:

1. ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, მომზადებულია ავტორთა კოლექტივის მიერ: მ. კოპალეიშვული, ნ. სხირტლაძე, ე. ქარდავა, პ. ტურავა. თბილისი, 2008 წელი, გამოცემულია GTZ – ის მხარდაჭერით; www.gtz-law-caucasus.net

ბ) დამხმარე სასწავლო ლიტერატურა საქართველოს ადმინისტრაციული სამართლის პროცესში:

2. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარი, მომზადებულია ავტორთა კოლექტივის მიერ: მ. ვაჩაძე, ი. თოდრია, პ. ტურავა, ნ. წკეპლაძე. თბილისი, 2005 წელი. www.gtz-law-caucasus.net

3. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარი, მომზადებულია ადმინისტრაციული სამართლის კათედრის წევრებისა და პრაქტიკოსი მოსამართლეების მონაწილეობით. თბილისი, 2004 წელი.

4. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარი, ჯ. რუსიაშვილი, ი. ტაბუცაძე. გამომცემლობა "სამართალი", თბილისი, 2000 წ;
(შენიშვნა: ამ კომენტარების გამოცემის შემდეგ ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსსა და ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში შევიდა რიგი ცვლილებები, რის გამოც შესაბამის ნორმებთან მიმართებით სტუდენტმა ცვლილებები უნდა გაითვალისწინოს).

გ) ნორმატიული აქტი:

5. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, 1999 წლის 23 ივლისი.